



საბართმელოს ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური



აპრძალული და ნებადართული მედიკამენტები

(ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული
ნივთიერებები / სამკურნალო საშუალებები /
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული
სამკურნალო საშუალებები)

ურთიერთობა მარტივია

- ▶ ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები
- ▶ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული, ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული, სამკურნალო საშუალებები
- ▶ სამკურნალო საშუალებები

როგელი მედიკამენტების შემოტანა იკრძალება საქართველოში სათანადო დოკუმენტაციის გარეშე?

ბაკრძალულია!

საქართველოს ტერიტორიაზე, სათანადო სამედიცინო დოკუმენტაციის გარეშე, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების შემოტანა!

ყველა კომბინირებული პრეპარატი, რომლის შემადგენლობაშია:

აცეტილდიჰიდროკოდეინი
 დიჰიდროკოდეინი
 კოდეინი
 ნიკოდიკოდინი
 ნიკოკოდინი
 ნორკოდეინი
 ფოლკოდინი
 ეთილმორფინი

ACETYLDIHYDROCODEINE
 DIHYDROCODEINE
 CODEINE
 NICODICODINE
 NICOCODINE
 NORCODEINE
 PHOLCODINE
 ETHYLMORPHINE

ყველა კომბინირებული საშუალება, რომლის შემადგენლობაშია:

ეფედრინი
 ნორეფედრინი
 ფსევდოეფედრინი

EPHEDRINE
 NOREPHEDRINE
 PSEUDOEPHEDRINE

გაითვალისწინეთ!

საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების - **ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების** - უკანონოდ შემოტანა/გატანა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის ქვემდებარე დანაშაულს და ისჯება კანონით!

აკრძალულია!

სათანადო სამედიცინო დოკუმენტაციის გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების საქართველოში შემოტანა/საქართველოდან გატანა.

**რა დოკუმენტაცია არის საჭირო
ფიზიკური პირის მიერ,
ინდივიდუალური საჭიროების მიზნით,
სპეციალურ კონტროლს
დაქვემდებარებული მედიკამენტების
საქართველოს საგარეო ტერიტორიაზე
შემოსატანად?**

ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროების მიზნით, ნებადართულია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების 31 დღის მარაგის შემოტანა მხოლოდ შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

- ▶ ინგლისურ ენაზე თარგმნილი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამოწმებული, რეცეპტის ქსეროასლი, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი;
- ▶ ინგლისურ ენაზე თარგმნილი, შესაბამისი ორგანოს მიერ იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამოწმებული, რეცეპტის გამომწერი ექიმის სერტიფიკატი, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი;
- ▶ რეცეპტისა და სერტიფიკატის ნამდვილობის დამადასტურებელი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელსაც გასცემს შესაბამისად იმ უფლებამოსილი ქვეყნის ორგანო, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი.

ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროების მიზნით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული, თარმაცვეტულ პროდუქტთან გათანაბრებული, სამკურნალო საშუალებების საქართველოში შემოტანა/საქართველოდან გატანა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე:

- ▶ სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით, ფიზიკური პირის სხვა ქვეყანაში ვიზიტის (მივლინება, მკურნალობა, ტურიზმი, პირადი მიწვევა და სხვა) დღეების რაოდენობაზე;
- ▶ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის შემთხვევაში სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით მკურნალობის კურსზე.

- ▶ ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროების მიზნით, 10 სტანდარტულ შეფუთვაზე მეტი ოდენობით, სამკურნალო საშუალების ქვეყანაში შემოტანა/ქვეყნიდან გატანა ხორციელდება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით, სხვა ქვეყანაში ვიზიტის დღეების რაოდენობაზე, ხოლო საქართველოს მოქალაქის მიერ 10 სტანდარტულ შეფუთვაზე მეტი ოდენობით სამკურნალო საშუალების ქვეყანაში შემოტანის შემთხვევაში - შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამკურნალო საშუალების დღიური დოზის გადაანგარიშებით მკურნალობის კურსზე.
- ▶ ნებადართულია სამედიცინო დოკუმენტაციის გარეშე, ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის 10 სტანდარტული შეფუთვის სამკურნალო საშუალებების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და მასთან გათანაბრებული ფარმაცევტული პროდუქტისა), მათ შორის, დაურეგისტრირებელი მედიკამენტებისა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს ტერიტორიიდან გატანა.

